



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიძე”

აუდიტის დეპარტამენტი
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

[Handwritten signature]

“10” ივლისი “2019 წელი

N 37136

ეგზ.: N1

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობა და მასთან
არსებული ორგანიზაციები

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	1
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	2
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა გარემოებები	8
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	15
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	17
	საკონტაქტო ინფორმაცია	21

ტერმინები და შემოკლებები

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა
 მთავრობა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
 მთავრობის აპარატი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი
 სავაჭრო პალატა – სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.
 სამეურნეო სამმართველო – აფხაზეთის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო
 სას – სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, მათ შორის, აფხაზეთის მინისტრის აპარატებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებების, მთავრობის აპარატის მეშვეობით უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მთავრობის უფლებამოსილებანი აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, მისი სტრუქტურა და შემადგენლობა, აგრეთვე საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მთავრობის მუშაობის, მთავრობის გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების, მათ შორის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვის, მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, აგრეთვე მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული და საორგანიზაციო საკითხები განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით.


მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები შედგება 11 სტრუქტურული ქვედანაყოფისა და ერთი საქვეუწყებო დაწესებულებისგან. ასევე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე (დიაგრამა N1).

მთავრობის აპარატის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულების პროგრამული კოდით: 02 00 დაფინანსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს და წარმოდგენილია მთავრობის აპარატის, ერთი საქვეუწყებო დაწესებულებისა და მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაციით (ცხრილი N1).

ცხრილი N1: მთავრობის 2018 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარი)

დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი (1)	დაზუსტებული ბიუჯეტი (2)	საკასო ხარჯი (3)	დარიცხული ხარჯი (4)	სხვაობა დაზუსტ. და დამტკიც. ბიუჯეტ.	შესრულება% (3/2)
სულ:	1,747,000.00	1,792,650.00	1,775,222.63	1,751,790.88	45,650.00	99.0%
ხარჯები, მათ შორის:	1,715,700.00	1,764,150.00	1,752,690.65	1,751,790.88	48,450.00	99.4%
შრომის ანაზღაურება	1,174,570.00	1,168,494.00	1,168,232.03	1,168,232.03	(6,076.00)	100.0%
საქონელი და მომსახურება	478,130.00	519,550.00	509,109.62	504,839.09	41,420.00	98.0%
სუბსიდიები	57,700.00	61,450.00	61,382.75	64,753.51	3,750.00	99.9%
სოციალური უზრუნველყოფა	-	9,356.00	9,355.95	9,355.95	9,356.00	100.0%
სხვა ხარჯები	5,300.00	5,300.00	4,610.30	4,610.30	-	87.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	31,300.00	28,500.00	22,531.98	-	(2,800.00)	79.1%

დიაგრამა N1: მთავრობის ორგანიზაციული სტრუქტურა



დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას (ბალანსს) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ დანართებს,¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

¹ ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 364.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 ფინანსური ანგარიშგება

1.1.1 ძირითადი აქტივების აღრიცხვის ნაკლოვანებები

2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ღირებულება არასწორად (გაზრდილი იყო 13,090.12 ლარით) იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, კონსოლიდირებული კომპონენტის – სავაჭრო პალატის მიერ „გრანტების“ მუხლით მიღებული საოფისე ფართისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების აღიარება მოხდა მიღებული აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულებით, მაშინ როცა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,² აღრიცხვა უნდა მომხდარიყო აქტივების ნარჩენი ღირებულებისა და ცვეთის ნორმების გათვალისწინებით. შესაბამისად, სავაჭრო პალატის მიერ აქტივების ღირებულებითი აღიარების დროს დაშვებულმა შეცდომამ გამოიწვია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არასწორად და არაზუსტად წარმოდგენა.

1.1.2 მატერიალური მარაგების არასწორად აღიარება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები მატერიალური მარაგების მოძრაობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 81,006.21 ლარის ღირებულების აქტივები არ აკმაყოფილებს მატერიალურ მარაგად აღიარების კრიტერიუმებს.³ კერძოდ, კომპონენტის – სამეურნეო სამმართველოს მიერ 2018 წელს შეძენილი 59,020.51 ლარის საწვავი (რომლის დარიცხვა ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ბარათებზე ლიმიტის სახით, ხოლო ბარათები გადაცემულია მძღოლებისთვის და მძღოლები საწვავს ასხამენ ბენზინგასამართ სადგურებზე) და ასევე 21,985.70 ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილები, რომლებიც მოიცავს სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების, საბურავების, სათადარიგო ნაწილებისა და საცხი-საპოხი მასალების ხარჯებს. მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სათადარიგო ნაწილების, საბურავების და მომსახურების შესყიდვისას, დგება მიღება-ჩაბარების აქტი და აღნიშნულის მონტაჟი ხორციელდება ადგილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფულადი დოკუმენტებისა (საწვავი) და სათადარიგო ნაწილების შეძენასთან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მათი მონტაჟის თანხაც. იქიდან გამომდინარე, რომ მარაგების მიღება ფაქტობრივად არ ხდებოდა და ოპერაცია წარმოადგენდა მომსახურებას, ზემოაღნიშნული უნდა აღიარებულიყო ხარჯად და არ უნდა აღრიცხულიყო, როგორც მატერიალური მარაგი. შესაბამისად, არაკვალიფიციურად განხორციელებული ქმედებების გამო, როგორც სამეურნეო სამმართველოს ბუღალტრულ გატარებებსა და ფინანსური ანგარიშგების დანართში, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების დანართში,⁴ 81,006.21 ლარის მატერიალური მარაგების მიღება და გასვლა ასახულია არასწორად (ზედმეტად);

1.1.3 არაფინანსური აქტივების დანაკლისად აღრიცხვის ნაკლოვანებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული კომპონენტის – სამეურნეო სამმართველოს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 1440 ანგარიშზე ასახულია 12,820.41 ლარის მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით. აქედან, 1,879.28 ლარის მოთხოვნები არ

² „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 24, პუნქტი პირველი.

³ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 36, პუნქტი 3.

⁴ დანართი ფორმა N5.

აკმაყოფილებს დებიტორულ დავალიანებად (დანაკლისად) აღიარების კრიტერიუმებს, რადგან წარმოადგენს ზემო აფხაზეთში ოკუპაციის შედეგად დარჩენილ მოძრავ ქონებას: კერძოდ, ეს არის 4 ერთეული მოძრავი აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლის შესახებ აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფმა სათანადო რწმუნება ვერ მიიღო, გარდა აუდიტის ობიექტის წარმომადგენლის მიერ სიტყვიერი განმარტებისა. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები (მოძრავი ქონება) უკვე ფაქტობრივად არარსებულ ქონებას წარმოადგენს და ორგანიზაცია ვერ დაიბრუნებს კონტროლს დანაკლისებად აღიარებულ აქტივებზე, ხოლო მოქმედი კანონდებლობით,⁵ დებიტორული დავალიანების თანხები, რომელთა ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, ჩამოიწერება ხელმძღვანელის ბრძანებით და აისახება არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამმართველოს უნდა გაეტარებინა ადეკვატური ღონისძიებები, რაც არ განხორციელებულა.

სამეურნეო სამმართველოს მხრიდან არაკვალიფიციურად და არასათანადოდ გატარებული ღონისძიებების შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და სამეურნეო სამმართველოს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად (გაზრდილი თანხით) არის წარმოდგენილი მოთხოვნების ანგარიშები.

1.1.4 პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები

სამეურნეო სამმართველოს მიერ ბალანსის საცნობარო მუხლზე არასწორადაა ასახული მატერიალური მარაგების მიღება, რის გამოც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არაზუსტად იქნა წარდგენილი. კერძოდ, 2018 წლის 22 იანვარს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, სსიპ – აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ სამეურნეო სამმართველოს უსასყიდლოდ გადმოეცა 460 ცალი წიგნი-ალბომი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი“, ღირებულებით 7,682.00 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული ოპერაცია უნდა აღრიცხულიყო როგორც მატერიალური მარაგების მიღება, თუმცა საფინანსო სამსახურის მიერ არაკვალიფიციურად და არასათანადოდ განხორციელებული ბუღალტრული გატარებების გამო, მიღებული მარაგები აღირიცხა ბალანსის საცნობარო მუხლზე – „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშგებო წლის ბოლოს ნაშთად დარჩენილი წიგნების ღირებულებით – 1,903.80 ლარით, არსწორადაა შემცირებული როგორც სამეურნეო სამმართველოს ბალანსზე რიცხული აქტივების ღირებულება, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აქტივების წმინდა ღირებულება.

1.2 ფინანსური ანგარიშგების პროცესი სავაჭრო პალატაში

სავაჭრო პალატის ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამოებები. კერძოდ, არ წარმოებდა ბუღალტრული აღრიცხვა (არც მატერიალური ფორმით და არც ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით). სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღრიცხვა არ ხდებოდა ბუღალტრული გატარებებით, შესაბამისად, არ არის შედგენილი მემორიალური ორდერები, ბრუნვითი უწყისები და მთავარი წიგნი.

⁵ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 14, პუნქტი 34.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხორციელდებოდა მხოლოდ პირველადი დოკუმენტაციისა და სახაზინო მონაცემების საფუძველზე, თუმცა აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული გარემოება აღრიცხვის მიზნებისათვის ვერ იქნება საკმარისად მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის მოთხოვნის⁶ მიუხედავად, სავაჭრო პალატის 2018 წლის ბალანსი არ იყო შემოწმებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და არც მთავრობის აპარატის შიდა აუდიტის სამსახურს განუხორციელებია რაიმე სახის კონტროლის ღონისძიებები. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით⁷ ორგანიზაციაში ფინანსური/ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო ბუღალტრულ აღრიცხვაზე – საბუღალტრო სამსახური (აღნიშნულ შემთხვევაში ბუღალტერი). შესაბამისად, გამოვლინდა პასუხისმგებელი პირების მხრიდან მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულება, ხოლო მთავრობის მხრიდან – არასათანადო კონტროლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება როგორც სავაჭრო პალატის ფინანსური ანგარიშგების, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არასწორად და არასრულად, არსებითი შეუსაბამოებით წარდგენის რისკები.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

⁶ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7 და მე-11 პუნქტები.

2. სხვა გარემოებები

2.1 შრომის ანაზღაურება

2.1.1 შტატით მომუშავეთა ანაზღაურება

2019 წლის თებერვლიდან მთავრობის აპარატში ამოქმედდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან გასვლის აღრიცხვის სპეციალური ტექნიკური საშუალება, თუმცა 2018 წელს აღნიშნული პროცესები კონტროლდებოდა მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების აღრიცხვის ჟურნალით (შემდგომ – აღრიცხვის ჟურნალი), რომელიც როგორც დადგინდა, ატარებდა ფორმალურ ხასიათს. კერძოდ, მთავრობის აპარატში იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ ნაწარმოები აღრიცხვის ჟურნალი შედგებოდა მხოლოდ შემდეგი მონაცემებისაგან: „სახელი, გვარი, თარიღი, მოსვლა – ხელმოწერა, წასვლა – ხელმოწერა“ და მასში არ ფიქსირდება თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების ზუსტი დრო. შესაბამისად, შეუძლებელია თანამშრომლისათვის შინაგანაწესით განსაზღვრული ყოველდღიური სამუშაო დროის ხანგრძლივობის (8 საათი) დადგენა. მთავრობის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გარდა ჟურნალში აღრიცხვისა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები უშუალოდ სტრუქტურული ერთეულების მიხედვით შედიოდნენ ოთახებში და ვიზუალურად აღრიცხავდნენ თანამშრომლებს. თუმცა აღნიშნული დოკუმენტურად ვერ დადასტურდა.

აღრიცხვის ჟურნალის შესწავლით გამოვლინდა, რომ 2018 წელს არ დაფიქსირებულა არცერთი დაგვიანებისა და ადრე წასვლის შემთხვევა, თუმცა ამავდროულად გამოვლინდა ფაქტები, როდესაც მთავრობის აპარატის ზოგიერთი თანამშრომელი საერთოდ არ ფიქსირდებოდა ან არ აწერდა ხელს აღრიცხვის ჟურნალში (მაგალითად, მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველები, შტატგარეშე თანამშრომელთა უმრავლესობა), ხოლო სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმაში ყველა აღნიშნულ შემთხვევაში დაფიქსირებულია, როგორც მათ მიერ სრული სამუშაო დროით მუშაობა.

ამრიგად, თანამშრომელთა აღრიცხვის კუთხით გამოვლენილი ზემოაღნიშნული ხარვეზები გამოწვეული იყო ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა არასათანადოდ შესრულებით, რის გამოც საბოლოო ჯამში აღრიცხვის ჟურნალი სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფდა თანამშრომელთა შრომის დისციპლინის ეფექტიან დაცვასა და ყოველდღიური სამუშაო დროის ზუსტ აღრიცხვა-კონტროლს. აღნიშნული, თავის მხრივ, წარმოქმნიდა ხელფასების კანონმდებლობით დადგენილი წესის შეუსაბამოდ გაანგარიშება-გაცემის რისკებს.

2.1.2 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ანაზღაურება

მთავრობის აპარატში გარკვეულ პერიოდში ან მთელი წლის განმავლობაში, დასაქმებული იყო 10 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე, მათ შორის, 6 პირი აყვანილი იყო ხანგრძლივი პერიოდით (6-12 თვე), მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა – 51,645.00 ლარი. კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, იმასთან დაკავშირებით, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს მინიჭებული უნდა ჰქონდეს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების

უფლებამოსილება, მთავრობის აპარატში ხელშეკრულებით მომუშავეთა დასაქმება, ისევე როგორც წინა წლებში, 2018 წელსაც ხდებოდა ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ამასთანავე, კვლავ არ იყო განსაზღვრული მომუშავეებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა. ასევე 10 შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლიდან შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარმოდგენილი ჰქონდა რვას, რომელთაგან ხუთი მათგანის ანგარიში შედგენილია თვეების მიხედვით, ხოლო დანარჩენი სამი თანამშრომლის ანგარიში არის – წლიური და ანგარიშების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგისა და აქედან მიღებული სარგებლის იდენტიფიცირება. ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნაწილი არ არის შეყვანილი აღრიცხვის ჟურნალში, ხოლო აღრიცხვის ჟურნალში ასახული დანარჩენი ნაწილის ხელმოწერა, სამსახურში მოსვლა-წასვლის თობაზე, უმეტესად არსად არ ფიქსირდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობის აპარატის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ მოსამსახურეთა დასაქმების კუთხით, არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები,⁸ რაც წარმოქმნიდა საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

2.2 ბუღალტრული აღრიცხვის სხვა ნაკლოვანებები

2.2.1 ფინანსური ანგარიშგების არაზუსტი წარდგენა

მთავრობის აპარატის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებების ანალიზით გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:

1) მთავრობის კონსოლიდირებული და სამეურნეო სამმართველოს ფინანსური ანგარიშგებების დანართი ფორმა N6-ში, პასუხისმგებელი პირების არაკვალიფიციურობისა და მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, 20,840.00 ლარით მსუბუქი ავტომატური ჩამოფასება შეცდომით აღირიცხა 1.2 – „ჯიპებისა“ და „პიკაპების“ მუხლში (მსუბუქი/სხვა სახით გასული/ღირებულება), ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნული სამეურნეო ოპერაცია ასახულიყო 1.1 – „მსუბუქი ავტომატების“ მუხლში (სხვა სახით გასული/ღირებულება). ამავდროულად, მუხლში 1.1 (სხვა სახით მიღება/ღირებულება) 9,894.46 ლარის ნაცვლად, არასწორად აღირიცხა 15,055.14 ლარი, ხოლო მუხლში 1.2 (სხვა სახით მიღება/ღირებულება) ნაცვლად 6,554.68 ლარისა, ასევე არასწორად აისახა 1,403.70 ლარი. ანგარიშგებების დანართი ფორმა N8-ში არ ფიქსირდება ორგანიზაციების ბალანსის შესაბამის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოშობის წლების მიხედვით, მაშინ როცა, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-სა და დანართი ფორმა N10-ში, ვალდებულებების მუხლზე ნაშთად აღრიცხულია 2018 წლის დეკემბერში მოხმარებული საწვავის ღირებულება (4,261,36 ლარი).

2) მთავრობის კონსოლიდირებული და სავაჭრო პალატის ფინანსური ანგარიშგებების დანართი ფორმა N4-ში არაზუსტად (ზედმეტად) აღირიცხა „საქონელი და მომსახურების“ მუხლის დარიცხული ხარჯი 12,740.00 ლარი, „სუბსიდიების“ მუხლში. ამასთანავე, შემოსავლების ნაწილში სავაჭრო პალატის

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

საწევრო შენატანებიდან მიღებული თანხები (14,350 ლარი) ბუღალტრის მიერ შეცდომით დაფიქსირდა „საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების“ მუხლში.

მთავრობის აპარატის მიერ განხორციელებული ბუღალტრული გატარებების (მთავარი წიგნი) შესწავლით დადგინდა, რომ საბუღალტრო სამსახურის მიერ გაწეული არასათანადო მომსახურების გამო, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ანგარიში 4100), ხელფასები – ფულადი ფორმით (7111), შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (7210) და მივლინება (7220) არ იყო გადაფარული წმინდა ღირებულების ანგარიშზე (5100), ასევე ხელფასები ფულადი ფორმით, ანგარიშზე დამატებით გატარებული იყო როგორც დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება, მაშინ როცა, მოქმედი კანონმდებლობით და ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმით, უნდა აღირიცხოს 7730 ანგარიშზე.

ცხრილი N2: მთავრობის აპარატის ბუღალტრული მონაცემები (ლარი)

კოდი	ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი	(გადახრა)
	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით			
1250	ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის	1,032,350.8	1,032,350.8	-
1461	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	12,479.1	12,479.04	0.05
1462	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	59,451	59,451.04	-
4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	4,169.2	1,032,350.8	(1,028,181.6)
3243	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი შტატით მომუშავეთათვის დარიცხული	185,437.1	185,437.1	-
3251	ხელფასები	890,544.8	890,544.8	-
3252	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	60,520.0	60,520.0	-
3257	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხები	1,164.0	1,164.0	-
3257	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხები	20,786.4	20,786.4	-
3257	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხები	3,676.8	3,676.8	-
3257	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხები	981.8	981.8	-
7111	ხელფასები ფულადი ფორმით	899,900.7	-	899,900.7
7210	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	60,520.0	-	60,520.0
7220	მივლინება	67,760.9	-	67,760.9
3257	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხები	1,674.0	1,674.0	-
3257	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხები	5,628.0	5,628.0	-
3255	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	9,356.95	9,356.25	(0.30)
1110	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	4,169.2	4,169.15	-

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შეცდომებს არსებითი გავლენა არ აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე, აუდიტებელია აღინიშნოს, რომ სავაჭრო პალატისა და სამეურნეო სამმართველოს ბუღალტრების მიერ დაშვებული შეცდომები და მთავრობის აპარატის საფინანსო სამსახურის მიერ შეუსაბამოდ განხორციელებული კონსოლიდაციის პროცესი, ფინანსურ აღრიცხვაში არაეფექტიან/არასათანადო კონტროლზე მიუთითებს. ამასთანავე, ის გარემოება, რომ არცერთ კონსოლიდირებად კონპონენტში არ არის დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ტექნიკური (ავტომატიზებული) საშუალება, რაც აღრიცხვაში დაშვებული შეცდომების რისკებს შეამცირებდა, ქმნის ფინანსური ანგარიშგების არასწორად (არასრულად) წარდგენის რისკებს.

2.2.2 არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ხარვეზები

სავაჭრო პალატის მიერ ძირითად აქტივებზე ფიზიკური ცვეთის გაანგარიშებისას შეუსაბამოდ შერჩეულმა ცვეთის ნორმებმა და გაანგარიშების არასწორად გამოყენებულმა ბაზამ გამოიწვია 2018 წლის ძირითადი კაპიტალის მოხმარების 1,608.86 ლარით ნაკლები თანხით წარმოდგენა.

სავაჭრო პალატისა და მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დანართი ფორმა N6-ის მიღების ნაწილში არ არის შეტანილი სავაჭრო პალატის მიერ უსასყიდლოდ მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რაოდენობა და ღირებულება. ამასთანავე, დანართ ფორმაში დაფიქსირებული 200.00 ლარის საკასო და ფაქტობრივი ხარჯი წარმოადგენს სავაჭრო პალატის მიერ ავტომანქანის დაქირავების ხარჯებს, რომელიც არ მიეკუთვნება ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულ მიმდინარე ხარჯებს, შესაბამისად, მსგავსი ხარჯების აღრიცხვას დანართი ფორმა N6 არ ითვალისწინებს.

სავაჭრო პალატის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების დანართი ფორმა N5-ში აღრიცხული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ღირებულება წლის დასაწყისში 504.00 ლარი და წლის ბოლოს 3,588.00 ლარი, წარმოადგენს ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ღირებულებას. ამასთანავე, აღნიშნული აქტივები ნაშთად ფიქსირდება ფინანსური ანგარიშგებების ფორმა N1-ის საცნობარო მუხლში – „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გრძელვადიანი მოხმარების მცირეფასიანი აქტივების ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომ, მათი აღრიცხვა ხდება საცნობარო მუხლში, შესაბამისად, დანართი ფორმა N5-ში აქტივების აღრიცხვა მოხდა 3,588.00 ლარით ზედმეტად გაზრდილი თანხით.

2.3 მივლინების დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

მთავრობის აპარატისა და სამეურნეო სამმართველოს მივლინების დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ თანხის ფაქტობრივად გაცემისა და საავანსო ანგარიშის შედგენის თარიღი არ შეესაბამება ერთმანეთს. კერძოდ, თანხის წინასწარი გაცემის დროს არ ხდება საავანსო ანგარიშის შედგენა.⁹ საავანსო ანგარიშის გახსნის თარიღად, ძირითადად, ფიქსირდება დასრულებული მივლინების შემდგომი პერიოდი. შესაბამისად, პირველადი დოკუმენტაციით ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხების მოძრაობა, მთავრობის აპარატში – 67,760.93 ლარი (ქვეყნის შიგნით – 12,300.71, ქვეყნის გარეთ – 55,460.22), ხოლო ადმინისტრაციულ სამმართველოში – 2,750.00 ლარის (ქვეყნის შიგნით) ასახვა არ მოხდა უშუალოდ ოპერაციის განხორციელებისას, რაც კომპონენტების საფინანსო სამსახურების მიერ არასათანადოდ წარმოებული ბუღალტრული დოკუმენტაციის შედეგია.

სამივლინებო დოკუმენტაციის აღრიცხვაში არადროული ასახვა მიუთითებს საფინანსო სამსახურების მიერ ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოების არასათანადო კონტროლზე, რაც წარმოშობს ფინანსური ინფორმაციის არასწორად წარდგენის რისკებს.

⁹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 15, პუნქტი 1.

2.4 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია

სამეურნეო სამმართველოს ბალანსზე ირიცხება შვიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა ექსპლუატაციაზე გაიხარჯა (საკასო) 89,924.53 ლარი, თუმცა ხარჯების გაწევის დროს გამოვლინდა კონტროლის ღონისძიებების ნაკლოვანებები, კერძოდ:

1) შვიდი ავტომანქანიდან ორი არის სამორიგეო ავტომანქანა, რომელთაგან ერთი ემსახურება მთავრობის აპარატის თანამშრომლებს, ხოლო მეორე – სამეურნეო სამმართველოს თანამშრომლებს, მოთხოვნის შესაბამისად. სამორიგეო ავტომანქანების მოძრაობის შესწავლით დადგინდა, რომ ტრანსპორტის მოძრაობის ჟურნალში არ აისახება სამორიგეო ავტომობილების მივლინების დროს გადაადგილება.

1) სპეციალური დანიშნულების ავტომანქანაზე არ წარმოებს ტრანსპორტის მოძრაობის რეგისტრაციის ჟურნალი ან სხვა მოძრაობის კონტროლის ალტერნატიული საშუალება.

1) სამეურნეო სამმართველოს განმარტებით, ბალანსზე რიცხული ხუთი ერთეული ავტომანქანისათვის საჭირო ავტოსადგომის არ არსებობის გამო, სამუშაო საათების შემდგომ მათი პარკირება (გაჩერება) ხდება მათზე პასუხისმგებელი პირების (მძღოლების) საცხოვრებელ ადგილთან, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით (ავტომანქანების საკუთარ სახლთან გაჩერების თაობაზე) არ არსებობს რაიმე სახის ფორმალური დოკუმენტი.

1) სამსახურებრივი სარგებლობის სამორიგეო ავტომანქანებზე **დაფიქსირდა არასამუშაო დღეებში საწვავის ჩასხმის 14 შემთხვევა**, საიდანაც დადგენილი წესით შესაბამისი ინფორმაცია ჟურნალში არ შეტანილა 11 შემთხვევაში. კერძოდ: „კია რიო“-ზე (სახ. ნომერი FFI-417) – დაფიქსირდა შვიდი შემთხვევა. აქედან, სამ შემთხვევაში საწვავის ჩასხმა განხორციელდა მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, ხოლო დანარჩენ ოთხ შემთხვევაში – ავტომანქანით უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე საზოგადოებათან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლების ტრანსპორტირება, თუმცა აღნიშნული შემთხვევები, როგორც არასამუშაო დღეებში მომხადრი, არ არის შეტანილი ჟურნალში.

„ტოიოტა კოროლა“ (სახ. ნომერი AW454AW) – დაფიქსირდა შვიდი შემთხვევა. აფხაზეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე ავტომანქანით განხორციელდა სამმართველოს თანამშრომლების ტრანსპორტირება, თუმცა ამ შემთხვევებშიც არასამუშაო დღეების მიზეზით, შესაბამისი ინფორმაცია, ასევე, არ იქნა შეტანილი ჟურნალში.

ზემოაღნიშნული ფაქტები მიუთითებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე განხორციელებულ არასათანადო კონტროლზე, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისა და ავტომანქანების არაეფექტიანად გამოყენების რისკებს.

2.5 კონტროლის მექანიზმები

2.5.1 არაფორმალიზებული მნიშვნელოვანი პროცესები

კონსოლიდირებული კომპონენტების პროცესების შესწავლით დადგინდა, რომ კომპონენტების ხელმძღვანელობას არ აქვს შემუშავებული კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, არ არსებობს ფორმალიზებული შიდა კონტროლის სისტემა. რაც შეეხება არაფორმალიზებულ კონტროლის მექანიზმებს, პროცედურები მიუთითებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის არასწორად წარდგენის რისკებს წარმოშობს.

2.5.2 კონსოლიდაციის პროცესის ნაკლოვანებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლებში გამოვლინდა ნაკლოვანებები: კერძოდ, აფხაზეთის ა/რ მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენენ მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებული ფორმებით, თუმცა მთავრობასა და მის კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების მიერ არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც უნდა ადგენდეს ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ გამოცემული N17 დადგენილება განსაზღვრავს მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვადებს და არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესი და/ან კონსოლიდაციის ინსტრუქცია/მეთოდოლოგია.¹⁰ შესაბამისად, ვერ დასტურდება კონსოლიდაციის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლებთან. აღნიშნული წარმოშობს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არასათანადო საფუძვლებით წარდგენის რისკებს.

2.6 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

სას-ის მიერ წინა 2018 წელს ჩატარებული აუდიტით მთავრობის აპარატსა და სამეურნეო სამმართველოში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები და შესრულდა სას-ის რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ:

- მთავრობის აპარატში 2019 წელს დაინერგა თანამშრომელთა მოსვლა-წასვლის კონტროლის მიზნით ელექტრონული იდენტიფიცირების საშუალება, რაც კონტროლის ეფექტიან საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს;
- მთავრობის აპარატში მივლინების თანხების ნაწილი აღდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო დარჩენილი ნაწილის დაფარვა დაგეგმილია მიმდინარე წელს პასუხისმგებელი პირის მიერ;
- სამეურნეო სამმართველოს ბალანსზე გადმოცემული ავტომატური ღირებულება დაზუსტებულია და აღრიცხულია კანონმდებლობის შესაბამისად;
- სამეურნეო სამმართველოში ძირითადი კაპიტალის მოხმარების არასწორად ასახული თანხები დაკორექტირებულია და ასახულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ფორმებში;
- სამეურნეო სამმართველოს პასუხისმგებელ პირზე დაკისრებული დანაკლისად აღიარებული მობილური ტელეფონის თანხა, აღდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომელთა დასაქმების საკითხი. კერძოდ, სას-ის მიერ რამდენჯერმე გაცემული რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ აღკვეთილიყო მთავრობაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა მოძრაობის აღურიცხაობისა და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევები, კვლავაც არ არის შესრულებული. მთავრობის აპარატს 2018 წელს არ

¹⁰ სსბასს 3 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ და სსბასს 6-ის „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ 49-ე პუნქტი.

განუხორციელება კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულებით თანამშრომლების დასაქმების აუცილებლობასა და საჭიროებას დაასაბუთებდა.

შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს მთავრობის მხრიდან საკანონმდებლო მოთხოვნებისა და სას-ის რეკომენდაციების უგულებელყოფასა და სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად გამოყენებაზე.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან

თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მთავრობის ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მთავრობის ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს მთავრობისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

მიხეილ გოდოლაძე

აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი

ნინო ბრეგვაძე

აუდიტორ-ასისტენტი



ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში
(ბალანსი)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	-	-
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	-	-
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211	-	-
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212	-	-
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220	-	-
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	-	-
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240	-	-
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	-	-
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	-	-
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	-	-
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	-	-
120	გადასახადების სახაზინო ანგარიში	1291	-	-
130	სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში	1292	1,085.50	2,695.50
140	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	-	-
150	მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები	1321	-	-
160	მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1322	-	-
170	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	-	-
180	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340	-	-
190	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	-	-
200	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	-	-
210	დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	-	-
220	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	-	-
230	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	-	-
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1356	-	-
250	საშემოსავლო გადასახადი	1361	-	-
260	მოგების გადასახადი	1362	-	-
270	ქონების გადასახადი	1363	-	-
280	დამატებული ღირებულების გადასახადი	1364	-	-
290	აქციზის გადასახადი	1365	-	-
300	იმპორტის გადასახადი	1366	-	-
310	სხვა გადასახადები	1367	-	-
320	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1370	-	-
330	მოთხოვნები ბარტერით	1410	-	-
340	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	-	-
350	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	-	-

360	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	-	-
370	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	12,033.09	12,820.41
380	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451	-	-
390	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1452	-	-
400	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1453	-	-
410	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1454	-	-
420	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461	-	-
430	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	-	-
440	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463	-	-
450	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	-	-
460	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1481	-	-
470	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1482	-	-
480	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1483	-	-
490	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511	-	-
500	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512	-	-
510	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	-	-
520	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530	-	-
530	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	-	-
II. არაფინანსური აქტივები			-	-
540	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
550	ნედლეული და მასალები	1621	-	-
560	დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	1622	-	-
570	მზა პროდუქცია	1623	-	-
580	შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონელი	1624	-	-
590	ფულადი დოკუმენტები	1625	506.00	
600	სათადარიგო ნაწილები	1626	652.00	
610	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	8,735.99	12,852.43
620	საცხოვრებელი შენობები	2111	-	-
630	არასაცხოვრებელი შენობები	2112	180,796.85	227,989.32
640	საგზაო მაგისტრალები	2113	-	-
650	ქუჩები	2114	-	-
660	გზები	2115	-	-
670	ხიდები	2116	-	-
680	გვირაბები	2117	-	-
690	გაყვანილობის სისტემები	2118	-	-
700	სხვა ნაგებობები	2119	-	-
710	სატრანსპორტო საშუალებები	2121	107,883.12	104,678.86
720	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	48,886.15	47,092.22
730	კულტივირებული აქტივები	2131	-	-
740	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	7,080.00	13,447.00
750	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	2140	-	-
760	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	-	-
770	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142	-	-

780	ტექნიკა	2210	-	-
790	ინვენტარი	2220	-	-
800	მოწყობილობა	2230	-	-
810	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240	-	-
820	მვირფასი ქვები და ლითონები	2310	-	-
830	ხელოვნების ნიმუშები	2320	-	-
840	სხვა ფასეულობები	2340	-	-
850	მიწა	2410	-	-
860	წიაღისეული	2420	-	-
870	სხვა ბუნებრივი აქტივები	2430	-	-
880	არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	2440	-	-
890	ბალანსი		367,658.70	421,575.74
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ვალდებულებები				
890	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110		
900	ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა	3120		
910	მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3131		
920	მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3132		
930	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	3140		
940	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3150		
950	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	5,821.19	4,261.36
960	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
970	ვალდებულებები ბარტერით	3230		
980	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
990	გადასახდელი დღგ	3242		
1000	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
1010	სხვა გადასახდელები	3244		
1020	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	3245		
1030	გადასახდელი ქონების გადასახადი	3246		
1040	გადასახდელი აქციზი	3247		
1050	გადასახდელი იმპორტის გადასახადი	3248		
1060	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
1070	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
1080	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
1090	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
1100	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
1110	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
1120	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
1130	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
1140	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		
1150	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		

1160	ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3271		
1170	სასქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3272		
1180	სახელმწიფოს ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით	3273		
1190	დამქირავებლის ვალდებულება საპენსიო სქემაში შეტანით	3274		
1200	მომუშავეთა ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით	3275		
1210	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3281		
1220	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282		
1230	დარიცხული გადასახდელი რენტა	3283		
1240	დარიცხული გადასახდელი პროცენტები	3284		
1250	გადასახდელი დივიდენდები	3285		
1260	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286		
1270	გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3311		
1280	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312		
1290	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
1300	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
1310	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
1320	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
1330	წმინდა ღირებულება	5100	360,752.01	414,618.88
1340	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
1350	გაუნაწილებელი მოგება	5220	1,085.50	2,695.50
1360	დაუფარავი ზარალი*	5230		
1370	ბალანსი		367,658.70	421,575.74
III. საცნობარო მუხლები				
1380	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01		
1390	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	-	1,903.80
1400	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	-	-
1410	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	1,900.65	6,140.87
1420	პირობითი აქტივები	05		
1430	პირობითი ვალდებულებები	06		
1440	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
1450	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	124,566.20	126,750.11
1460	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09		
1470	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	83,979.25	89,558.25
1480	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		
1490	საბანკო გარანტიები	12		

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	მიხეილ გოდოლაძე - MGodoladze@sao.ge ნინო ბრეგვაძე - NBregvadze@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38